საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამუკას ციხე

მამუკას ციხე, ა ლ ა მ ბ რ ი ს ციხე, შუა საუკუნეების ციხე სოფ. ალამბარში (ქობულეთის მუნიციპ.), მდ. აჭყვის მარჯვ. ნაპირზე, ციხისყელად წოდებულ გორაზე. გვიან შუა საუკუნეებში ციხეს ფლობდა ქობულეთის გამგებელი (მმართველი) მამუკა თავდგირიძე (აქედან მომდინარეობს სახელწოდებაც). გადმოცემის თანახმად, რუსეთ-თურქეთის 1877–78 ომის დროს ალამბრის ციხე ქობულეთის მმართველი თავდგირიძეების ერთ-ერთი საყრდენი პუნქტი უნდა ყოფილიყო. 1959 მიწისძვრამ ციხე მნიშვნელოვნად დააზიანა (ფაქტობრივად გაანადგურა). გადარჩენილი კედლებისა და საძირკვლის ნაშთების მიხედვით, სავარაუდოა, რომ ციხეს გეგმით თითქმის კვადრატული ფორმა ჰქონდა (ფართ. დაახლ. 70 მ ^{2}). კედლებიდან ყველაზე უკეთ სამხრ. (სიმაღლე 3 მ) და დას. (სიმაღლე 1 მ) კედლებია შემორჩენილი. მათი სისქეა 1–1,2 მ. ციხე ძირითადად ნაგებია თითქმის თანაბარი ზომის ნატეხი ქვით. შემორჩენილ კედლებზე ჩანს გვიანდელ პერიოდში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების კვალი.

ლიტ.: ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე ი., აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათ., 1962.

რ. ტაკიძე